პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

7 ივლისი კვირა 1974 ფასი 2 კაპ.

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 157 (15978)

მუდამ გვახსოვდეს!

არცერთი სამუშაო დღე, არცერთი სამუშაო საათი არ უნდა დაიკარგოს ფუჭად.

სკკპ ცენტრალური კომიტეტსა და სსრკ მინისტრთა საბჭოში

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომ და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ განიხილეს ანგარიში საბჭოთა კავშირის დელეგაციისა, რომელსაც მეთაურობდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 28-ე სესიის შედეგების შესახებ. სესია მიმდინარეობდა სოფიაში 1974 წლის 18-21 ივნისს.

აღინიშნა, რომ სესიის გადაწყვეტილებებს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვთ სოციალისტური სახელმწიფოების ძმური თანამშრომლობის შემდგომი განვითარებისათვის, მათი ერთიანობისა და შეკავშირების, მსოფლიო სოციალიზმის საერთაშორისო პოზიციებისა და autoritetების განმტკიცებისათვის. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 25 წლის საქმიანობის წარმატებითი შედეგები დამჯერებლად ადასტურებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის, მოძმე კომუნისტური და მუშათა პარტიების ინტერნაციონალისტური პოლიტიკის გამარჯვებას, რომლის მიზანია სოციალისტური ქვეყნების ყოველმხრივ დაახლოება და მჭიდრო ურთიერთმოქმედება. ამ შედეგებში რეალურად შეიხსნეს ბორცი სოციალიზმის ძირეულმა უპირატესობებმა ეკონომიკასა და ხალხის კეთილდღეობის ამაღლების საქმეში, ხალხთა მჭიდრო თანამეგობრობის დამკვიდრებაში, რომელშიც ორგანულად არის შერწყმული მათი ნაციონალური და ინტერნაციონალური ინტერესები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურო და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო მაღალ შეფასებას აძლევენ იმ ფაქტს, რომ მოძმე პარტიებისა და სახელმწიფოების ხელმძღვანელებმა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 28-ე სესიისადმი მისალმებებში გამოთქვეს ერთსულოვანი გადაწყვეტილება კვლავაც განამტკიცონ სოციალისტური ქვეყნების ერთიანობა და შეკავშირება ყველა დარგში, თანმიმდევრულად განახორციელონ სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა, განამტკიცონ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭო, სულ უფრო გააუმჯობესონ ამ საბჭოსა და სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიაჩნიათ, რომ ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 28-ე სესიის მიერ დასახულ ღონისძიებათა რეალიზაცია ხელს შეუწყობს მოძმე ქვეყნების ღონისძიებების უფრო ეფექტიან და ვეგმაზომიერ კოორდინაციას და გაერთიანებას სოციალისტური და კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაჭრაში, აგრეთვე განამტკიცებს სოციალისტური თანამეგობრობის ძლიერებასა და საერთაშორისო გავლენას სოციალური პროგრესისათვის, მშვიდობისა და საერთაშორისო თანამშრომლობისათვის ბრძოლის ინტერესების სასარგებლოდ.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოიწონეს სსრ კავშირის დელეგაციის საქმიანობა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 28-ე სესიაზე და დაავალეს კომპეტენტურ საბჭოთა ორგანოებს შეიმუშაონ და განახორციელონ საჭირო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ სესიის გადაწყვეტილებათა მთლიანად და დროულ შესრულებას.

140.000 ტონა მარცვლეულისათვის

12 სამუშაო დღეში ავიღოთ პურეულის მოსავალი

● არცერთი თავთავი — მინდვრად, არცერთი მარცვალი — ნამჯაში!

● პირველი განაღეწი პური — სახელმწიფოს!

პირველი განაღეწი სახელმწიფოს

თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღებასთან ერთად სიღნაღის რაიონის საზოგადოებრივი მეურნეობები პირველ განაღეწ პურს აბარებენ სახელმწიფოს. 5 ივლისისათვის სახელმწიფოს მიეყიდა 3.994 ტონა ხორბალი ნაცვლად წლიური გეგმით გათვალისწინებული 3.940 ტონისა.

სახელმწიფოსათვის პურის მიყიდვა გეგმის გადამეტებით გრძელდება. ეს რედაქციას აცნობეს პარტიის სიღნაღის რაიკომის პირველმა მდივანმა ვ. ქარუშიძემ და რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ი. კრაწაშვილმა.

მამა-შვილი საჭესთან

როცა წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო ქედის კოლმეურნეობის სატრაქტორო ბრიგადის ბრიგადირი ადამ წიკლაური კომბაინის აგრეგატებს აკომპლექტებდა, კომბაინერ ილია სუხაშვილს შეეკითხა: ვინ სურდა ყოფილიყო. მასთან შტურვალისტად. ილიამ თავის ვაჟიშვილზე — მერაბზე მიუთითა.

— მერე და იცის რამე? — შეეკითხა ბრიგადირი.

— საქმე გვიჩვენებს, — ძუნწად უპასუხა ილიამ და გუნებაში გაიფიქრა: — კომბაინზე აქვს ჭიები მოჭრილი და ეგ თუ არა, აბა ვინ შესძლებსო.

მართლაც, იგი საქმეს გამოიჩინა. ილია სუხაშვილის კომბაინის აგრეგატი მოწინავეა არა მარტო კოლმეურნეობაში, არამედ რაიონში. დღემდე იგი შეუფერხებლად მუშაობს.

მამა-შვილის ვალდებულებაა პურეულის მოსავალი გეგმით გათვალისწინებული 150 ჰექტარის ნაცვლად 225 ჰექტარზე აიღონ და საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი მარცვალი გალეწონ.

მათ ეს პირობა, რომ იტყვიან, წელში გატეხეს. ჭერისა და ხორბლის მოსავალი 150 ჰექტარზე აიღეს, საშუალოდ ჰექტარზე 32 ცენტნერი მარცვალი გალეწეს.

შეჯიბრების მატარებელი მიჰქრის და წითელ დროშას მიაფრიალებს. ვნახოთ, ვინ ჩამოხსნის მას ხვალ, ზეგ...

ყოველ შემთხვევაში, ეს სურვილი მამა-შვილს საიდუმლოდ გულში აქვთ შემონახული.

ვლ. მეედლიშვილი,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

სურათზე: მამა-შვილი ი. სუხაშვილი და მ. სუხაშვილი.



ეს სურათი გადაღებულია ლაგოდეხის რაიონის სოფელ შრომის კოლმეურნეობის „ლენინის ანდერძში“. ამ კოლმეურნეობის მოწინავე მექანიზატორს გიორგი მიხაშვილს, რომელსაც თქვენ ხედავთ წინა კომბაინზე, საუკეთესო მაჩვენებლებისათვის მიენიჭა გაზეთ „კომუნისტის“ გარდამავალი დროშა.

„კომუნისტის“ სპეკკორესპოდენტის ს. კილაძის ფოტო.

● საძღვრის ცნობა ●

„სალუტი-3“, ფრენა გრძელდება

ფრენის მართვის ცენტრი, 6 ივლისი. (საკდეხი). მეორე სამუშაო დღე „სალუტ-3“ პილოტირებულ სამეცნიერო სადგურში დაიწყო 9 საათსა და 40 წუთზე მოსკოვის დროით.

ფრენის პროგრამის შესაბამისად ეკიპაჟი განაგრძობს მუშაობას სადგურის განკონსერვაციისა და საბორტო სისტემების და სამეცნიერო აპარატურის შემოწმებისათვის.

სამედიცინო კონტროლის მონაცემებითა და სადგურიდან მიღებული მოხსენებების თანახმად, კოსმონავტები თავს კარგად გრძნობენ. პავლე პოპოვიჩის მაჯისცემა წუთში არის 50, იური არტიუხინისა — 56. ორივე კოსმონავტის არტერიული წნევაა ვერცხლისწყლის სვეტის 115 65 მილიმეტრზე. მედიკურ-ბიოლოგიური ექსპერიმენტების პროგრამით მოეწყო კოსმონავტთა სრული ელექტროკარდიოლოგიური გამოკვლევა.

„სალუტ-3“ სადგურის საბორტო სისტემები ნორმალურად მუშაობენ. 15 საათამდე სადგურის ფრენა მიმდინარეობს საბჭოთა კავშირის ტერიტორიიდან რადიოხილვადობის ზონის გარეთ. ამ პერიოდის მანძილზე ეკიპაჟთან კავშირი დამყარებულია სამეცნიერო-საკვლევი გემების „კოსმონავტ იური გაგარინისა“ და „კოსმონავტ ვლადიმერ კომაროვის“ და კავშირგაბმულობის თანამგზავრის „მოლნიის“ საშუალებით.

ლენინური პრემიები — მეცნიერების შემოქმედთ

5 ივლისს კრემლში გაიმართა მეცნიერთა ჯგუფისათვის ლენინური პრემიის ლაურეატთა დიპლომებისა და სპეციალური ნიშნების გადაცემა. ლაურეატთა ახალი რაზმის მისასალმებლად სვერდლოვსკის დარბაზში შეიკრიბნენ მეცნიერებისა და ტექნიკის თვალსაჩინო მოღვაწენი, საზოგადოებრივობის წარმომადგენლები.

საზეიმო ცერემონია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა მ. კელდიშმა. მან გულითადად მიუოფცა ლაურეატებს და მოკლედ დაახასიათა მათი ნაშრომები, რომლებიც აჩქარებენ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას.

შემდეგ აკადემიკოსმა მ. კელდიშმა მეცნიერთა ჯგუფს გადასცა ლენინური პრემიის ლაურეატთა დიპლომები და საპატიო ნიშნები.

ლაურეატებმა მხურვალე მადლობა გადაუხადეს კომუნისტურ პარტიასა და საბჭოთა მთავრობას მათი შრომის მაღალი შეფასებისათვის. მათ განაცხადეს, რომ მთელ თავის ცოცხალს, ძალღონესა და უნარს მოახმარენ იმ პასუხსაგები ამოცანების შესრულებას, რომლებიც საბჭოთა მეცნიერების წინაშე დგას. (საკდეხი).

ვიწონეგთ, მხარს ვუჭერთ!

ჯაე ეუჯაე იყოს ეზე

დარწმუნებული ვარ, არ არსებობს საბჭოთა მოქალაქე, რომელიც მთელი გულისყურით თვალს არ აედევნებდეს საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ლიდერების მოლაპარაკებას და არ იწონებდეს მის შედეგებს.

ახალი შეთანხმებანი კიდევ ერთი ნაბიჯია მსოფლიოს ორი უდიდესი ქვეყნის ურთიერთობის, უეჭველ საერთაშორისო დაძაბულობის შემცველ, ხელს უწყობენ საერთაშორისო დაძაბულობის შემდგომ შენელებას, სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების განმტკიცებას, მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ჩვენი ბავშვების, ჩვენი მომავლის ბედი დღეს მათ ხელშია, ვინც სამშვიდობო მოლაპარაკებას აწარმოებს, და ყოველი ნაბიჯი, სულ მცირე პროგრესიც კი ამ მხრივ ყოველი ჩვენგანის მხურვალე მხარდაჭერას გამოიწვევს.

მხოლოდ მოგონებას შემორჩა წარსული ომის სამინელებანი. და ამ მოგონებას შეუხორცებელ ჭრილობასავით დაეტყობოთ ყველანი გულში. მოგონებასვე დარჩეს იგი. დე მუდამ იყოს მზე!

თენგიზ ბუაჩიძე,
საქართველოს მწერალთა კავშირის პირველი მდივანი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

ხალხთა ინტერესებისათვის

საბჭოთა კავშირ-ამერიკის ახალი შეხვედრა არსებითი წინსვლაა ორი ქვეყნის ურთიერთობის გაუმჯობესების ისტორიაში. მიღწეულია პრინციპული შეთანხმება თანამედროვეობის უმნიშვნელოვანეს პრობლემებზე, დასახულია კონკრეტული ღონისძიებანი, რომელთა ერთობლივი განხორციელება განამტკიცებს მშვიდობას მთელ მსოფლიოში.

ორივე ქვეყნის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულება საერთაშორისო მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესების მტკიცე საფუძველია. სხვადასხვა სოციალური სისტემის მქონე ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობა და თანამშრომლობა მთელი მსოფლიოს ხალხთა ინტერესებს შეესაბამება.

ყველა საბჭოთა ადამიანი, მსოფლიოს ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხი, ეჭვი არ არის, დიდი აღფრთოვანებით შეხვდებიან საბჭოთა კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ხელმძღვანელთა ახალ შეთანხმებას.

სერგი დურმიშიძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

ფიზკულტურა და სპორტი — დღევანდელ მოთხოვნათა დონეზე

ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ჩამორჩა დღევანდელ მოთხოვნებს. ასეთი დასკვნა გამოიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ანგარიში.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტი ჯეროვან მუშაობას არ ეწევა, რომ შესრულოს ამოცანები, რომლებიც დასახეს სკკპ XXIV ყრილობამ და პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. რესპუბლიკაში არ არსებობს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებთან ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ფიზკულტურამ და სპორტმა სათანადო გაქანება ვერ ჰპოვა ბევრ სწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, ამ წლითიწლობით მცირდება იმ ფიზკულტურულთა რაოდენობა, რომლებიც სექციებში მეცადინეობენ.

ჩაშლილია ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობა მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში. თბილისსა და ქუთაისში არსებულმა ჯანმრთელობის კლუბებმა „ზაზაფხულმა“, „დილამ“, „რიონმა“, „დელისმა“, „კოლხეთმა“ ფაქტიურად შეწყვიტეს საქმიანობა.

მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის სრულიად არა დამაკმაყოფილებლად იყენებენ მშთ ახალ კომპლექსის დიდ შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით უგერგილოდ მუშაობენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი, მისი ორგანიზაციები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები. უკონტროლობამ და უპასუხისმგებლობამ ის გამოიწვია, რომ მშთ ნორმების ჩაბარების დროს ხშირად გვხვდება წამატებისა და თვალისაბვეკის ფაქტები.

ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დაქვეითებამ გამოიწვია დიდ სპორტში სრულფასოვანი რეზერვების შევსების მკვეთრი შემცირება. რესპუბლიკის გუნდებმა და სპორტსმენებმა დათმეს თავიანთი პოზიციები სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ზოგიერთი სპორტული ხელმძღვანელი, ფიზკულტურის მასწავლებელი, მწვრთნელი, მთ შორის წამყვანებიც კი, რომლებიც რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს წვრთნიან, განაგრძობენ ძველებურად. კუსტარულად მუშაობას, არ სწავლობენ თავიანთი საბჭოთა და საზღვარგარეთელი კოლეგების გამოცდილებას, არ სარგებლობენ მეთოდიკური ნამუშევრებით, რომლებიც სპეციალისტთა ფართო წრის კუთვნილება გახდა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადება სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადისათვის. დღეისათვის ჯერ კიდევ არ არიან დაკომპლექტებული კოლექტივები. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა შექმნილი ძალოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ხოლო რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სპორტის ამ სახეობებში სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმებს. რესპუბლიკის სპორტკომიტეტი ქმედითს ღონისძიებებს არ ხმარობს ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

რესპუბლიკაში იკრძნობა სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მწვავე ნაკლებობა. მათი უზრუნველყოფით რესპუბლიკის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გეგმა წლითიწლობით ვერ სრულდება. ამასთან, არსებული ბაზები მოუვლელია, ცუდად იყენებენ, ისინი ვერ გახდნენ მასობრივი სპორტული მუშაობის, მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციის ნამდვილი ცენტრები.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აგრეთვე სპორტის პროპაგანდა. რესპუბლიკაში იშვიათად ეწყობა ლამაზი ფიზკულტურული დღესასწაულები, ფესტივალები, სპორტის კვირეულები, მასობრივი კროსები, ესტაფეტები, საგზაო ველო და მოტოგარბენები, ცოტა ეწყობა სინტერესო ლექციები სპორტულ თემებზე. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის საკითხებს, ცოტა მასალებს აქვეყნებენ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გამოცდილებაზე, გაუბედავად აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ არ გახდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საქმიანობის პროგრამა. მან ვერ გამოიტანა აგრეთვე დასკვნები იმ კრიტიკული შენიშვნებიდან, რომლებიც გამოითქვა შარშან გამართულ რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებაზე.

სპორტკომიტეტის მუშაობაში არ ასახულა ცვლილებები, რომლებიც ამ ბოლო წლების მანძილზე ხდება რესპუბლიკაში ეშვიათად ეწყობა ლამაზი ფიზკულტურული დღესასწაულები, ფესტივალები, სპორტის კვირეულები, მასობრივი კროსები, ესტაფეტები, საგზაო ველო და მოტოგარბენები, ცოტა ეწყობა სინტერესო ლექციები სპორტულ თემებზე. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის საკითხებს, ცოტა მასალებს აქვეყნებენ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გამოცდილებაზე, გაუბედავად აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობა რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად ჩამორჩა დღევანდელ მოთხოვნებს. ასეთი დასკვნა გამოიტანა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა, რომელმაც მოისმინა და განიხილა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ანგარიში.

რესპუბლიკის სპორტკომიტეტი ჯეროვან მუშაობას არ ეწევა, რომ შესრულოს ამოცანები, რომლებიც დასახეს სკკპ XXIV ყრილობამ და პარტიისა და მთავრობის დადგენილებებმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის საკითხებზე. რესპუბლიკაში არ არსებობს მოსახლეობის სხვადასხვა კატეგორიებთან ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობის საქმეში.

ფიზკულტურამ და სპორტმა სათანადო გაქანება ვერ ჰპოვა ბევრ სწარმოში, მშენებლობაზე, დაწესებულებაში, ამ წლითიწლობით მცირდება იმ ფიზკულტურულთა რაოდენობა, რომლებიც სექციებში მეცადინეობენ.

ჩაშლილია ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობა მშრომელთა საცხოვრებელ ადგილებში. თბილისსა და ქუთაისში არსებულმა ჯანმრთელობის კლუბებმა „ზაზაფხულმა“, „დილამ“, „რიონმა“, „დელისმა“, „კოლხეთმა“ ფაქტიურად შეწყვიტეს საქმიანობა.

მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის განვითარებისათვის სრულიად არა დამაკმაყოფილებლად იყენებენ მშთ ახალ კომპლექსის დიდ შესაძლებლობებს. ამ მიმართულებით უგერგილოდ მუშაობენ რესპუბლიკის სპორტკომიტეტი, მისი ორგანიზაციები, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელმძღვანი ნებაყოფლობითი საზოგადოების კომიტეტები, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის ორგანოები. უკონტროლობამ და უპასუხისმგებლობამ ის გამოიწვია, რომ მშთ ნორმების ჩაბარების დროს ხშირად გვხვდება წამატებისა და თვალისაბვეკის ფაქტები.

ფიზკულტურულ-მასობრივი მუშაობის დაქვეითებამ გამოიწვია დიდ სპორტში სრულფასოვანი რეზერვების შევსების მკვეთრი შემცირება. რესპუბლიკის გუნდებმა და სპორტსმენებმა დათმეს თავიანთი პოზიციები სრულიად საკავშირო და საერთაშორისო შეჯიბრებებზე.

ზოგიერთი სპორტული ხელმძღვანელი, ფიზკულტურის მასწავლებელი, მწვრთნელი, მთ შორის წამყვანებიც კი, რომლებიც რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს წვრთნიან, განაგრძობენ ძველებურად. კუსტარულად მუშაობას, არ სწავლობენ თავიანთი საბჭოთა და საზღვარგარეთელი კოლეგების გამოცდილებას, არ სარგებლობენ მეთოდიკური ნამუშევრებით, რომლებიც სპეციალისტთა ფართო წრის კუთვნილება გახდა.

სერიოზულ შეშფოთებას იწვევს რესპუბლიკის ნაკრები გუნდების მომზადება სსრ კავშირის ხალხთა მე-6 სპარტაკიადისათვის. დღეისათვის ჯერ კიდევ არ არიან დაკომპლექტებული კოლექტივები. განსაკუთრებით სავალალო მდგომარეობაა შექმნილი ძალოსნობაში, ცურვაში, ტანვარჯიშში, ხოლო რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციები წლითიწლობით ვერ ასრულებენ სპორტის ამ სახეობებში სპორტის ოსტატებისა და თანრიგოსან სპორტსმენთა მომზადების გეგმებს. რესპუბლიკის სპორტკომიტეტი ქმედითს ღონისძიებებს არ ხმარობს ამ ჩამორჩენის ლიკვიდაციისათვის.

რესპუბლიკაში იკრძნობა სპორტული ბაზებისა და ნაგებობების მწვავე ნაკლებობა. მათი უზრუნველყოფით რესპუბლიკის ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია ჩვენს ქვეყანაში. მიუხედავად ამისა, სპორტულ ნაგებობათა მშენებლობის გეგმა წლითიწლობით ვერ სრულდება. ამასთან, არსებული ბაზები მოუვლელია, ცუდად იყენებენ, ისინი ვერ გახდნენ მასობრივი სპორტული მუშაობის, მშრომელთა, განსაკუთრებით ახალგაზრდობის დასვენების ორგანიზაციის ნამდვილი ცენტრები.

არადამაკმაყოფილებლადაა დაყენებული აგრეთვე სპორტის პროპაგანდა. რესპუბლიკაში იშვიათად ეწყობა ლამაზი ფიზკულტურული დღესასწაულები, ფესტივალები, სპორტის კვირეულები, მასობრივი კროსები, ესტაფეტები, საგზაო ველო და მოტოგარბენები, ცოტა ეწყობა სინტერესო ლექციები სპორტულ თემებზე. რესპუბლიკური გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტი არადამაკმაყოფილებლად აშუქებენ ფიზკულტურულ-მასობრივი მოძრაობის საკითხებს, ცოტა მასალებს აქვეყნებენ მოწინავე ფიზკულტურული კოლექტივების მუშაობის გამოცდილებაზე, გაუბედავად აკრიტიკებენ არსებულ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება „ფიზკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ“ არ გახდა რესპუბლიკის სპორტკომიტეტის საქმიანობის პროგრამა. მან ვერ გამოიტანა აგრეთვე დასკვნები იმ კრიტიკული შენიშვნებიდან, რომლებიც გამოითქვა შარშან გამართულ რესპუბლიკის ფიზკულტურული აქტივის კრებაზე.

სპორტკომიტეტის მუშაობაში არ ასახულა ცვლილებები, რომლებიც ამ ბოლო წლების მანძილზე ხდება რესპუბლიკაში. ამ კომიტეტის აპარატში შემუშავნა ნაკლოვანებებისადმი შემმუსვრელი, შემრიგებლური ატმოსფერო, ხშირად სპორტკომიტეტის კოლეგიის გადაწყვეტილებებს ხელელი ხასიათი აქვთ. მოუგვარებელია კონტროლი კოლეგიის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი, ამიტომ ბევრი მათგანი ქაღალდზე რჩება.

იმის გამო, რომ სპორტკომიტეტის სისტემაში არ არის შედეგიანი კონტროლი, ჯერ კიდევ ხდება სოციალისტური საკუთრების დატაცების შემთხვევები, მასობრივი ხასიათი აქვს შეთვისებას, უხეშად ირღვევა მშრომელთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების. განხილვის წესი, „რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელის“ საპატიო წოდების მინიჭების დებულებები. რესპუბლიკური სპორტკომიტეტის პარტიული ორგანიზაცია ჯეროვნად არ იყენებს აპარატის საქმიანობისადმი კონტროლის მთელ უფლებას, არ ამტკიცებს პარტიულ და სახელმწიფო დისციპლინას, ხელს არ უწყობს მთელი მუშაობის გაუმჯობესებას.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტ დაავალა გაუმჯობესოს აპარატის მუშაობის სტილი, მეთოდები და სტრუქტურა, განამტკიცოს კვალიფიციური კადრებით. რესპუბლიკური სპორტკომიტეტი თავის საქმიანობას უნდა ეწეოდეს სახელმწიფო, პროფკავშირულ, კომკავშირულ და სხვა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან მჭიდრო კონტაქტით, საზოგადოებრივი აქტივის ფართო მონაწილეობით. მან მთლიანად უნდა გამოიყენოს სამინისტროებისა და უწყებების სისტემაში, აგრეთვე სპორტულ ორგანიზაციებში, მათი უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, ფიზკულტურისა და სპორტული მუშაობის მდგომარეობისადმი კონტროლის მინიჭებული უფლება. პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებთან და ნებაყოფლობით სპორტულ საზოგადოებებთან ერთად აქტიურად უნდა დაეჭიროს მშრომელთა ყოველდღიურ ცხოვრებაში ფიზიკური კულტურა და სპორტი, მიაღწიოს, რომ მათ სამდგილ მასობრიობას, რომელსაც საფუძვლად უდგას მშთ სრულიად საკავშირო კომპლექსი. რესპუბლიკურმა სპორტკომიტეტმა თავის უპირველეს მოვალეობად უნდა ჩათვალოს სოფლად მასობრივი სპორტის განვითარება. განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაუთმოს რესპუბლიკის ფიზკულტურულ და სპორტულ ორგანიზაციებს შორის სოციალისტური შეჯიბრების გაშლას.

ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, განათლების სამინისტროსთან და რესპუბლიკის პროფესიონალ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან ერთად წინადადება მიეცა განიხილოს სასწავლო პროცესისათვის საჭირო დაფრენილი სპორტული ნაგებობების საკითხი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დაავალა აგრეთვე რესპუბლიკის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაატარებინოს სასწავლო, კლასგარეშე და სკოლის გარეშე ფიზკულტურული და გამჯანსაღებელი მუშაობა, მიაღწიოს, რომ თვითეული მოსწავლე მშთ ნიშნოსანი გახდეს. რესპუბლიკურ სპორტკომიტეტთან ერთად ამ სამინისტროს სამი თვის ვადაში უნდა შექმნას პირობები, რომ რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისათვის ვეგმაზომიერად მომზადდეს სპორტული რეზერვები.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს წინადადება მეცა 1974 წლის 1 სექტემბრისათვის თბილისის, ქუთაისის, სოხუმის, ბათუმის, რუსთავისა და რესპუბლიკის მთელი რიგი სხვა ქალაქების ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გახსნას სწავლების გახანგრძლივებულდღიანი სპეციალიზებული კლასები სპორტის ცალკეული სახეობის მიხედვით.

ამისათვის, რომ ამაღლდეს ფიზიკულტურის მასწავლებლებისა და ბავშვთა სპორტულთა მწვრთნელების ფიზიკური აღზრდის კულტურა და მათ სისტემატური მეთოდური დახმარება გაეწიოთ, ეუონნალ „სკოლა და ცხოვრებამ“ საჭიროა ყოველ კვარტალში გამოიშვას დამატება „მოსწავლეთა ფიზიკური აღზრდა“.

პარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთისა და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოებმა აღმასკომებმა, საქართველოს პროფსაბჭომ, რესპუბლიკის აღკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა, სამინისტროებმა და უწყებებმა, ნებაყოფლობითმა სპორტულმა საზოგადოებებმა უნდა შეიმუშაონ ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების კონკრეტული გეგმა, უზრუნველყონ ფიზიკულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების შესახებ პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა უფუო შესრულება. (საქინფორმი).

პროპაგანდისტთა რესპუბლიკური შეკრების მონაწილეების მიმართვა

საქართველოს ყველა პროპაგანდისტისადმი!

ძვირფასო ამხანაგებო!

ზუსტად ნახევარი წელიწადი გავიდა, ბევრი ... ეროვნული ... ტულ-ლენინურ თეორიას, შეადგენენ ... ეროვნული ... ბის შესაბამისად

პროტექციონიზმი, სიყალბე

საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკთა კრებაზე

მშრომელთა საყოფაცხოვრებო მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების, ჩავარდნების, სერიოზული ხარვეზების გამოსწორებისათვის პრინციპული მსჯელობის, ჯანსაღი სჯა-ბაასის ვითარებაში მიმდინარეობდა საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამინისტროს სისტემის მუშაკთა რესპუბლიკური კრება, რომელიც ამ დღეებში თბილისში გაიმართა. კრებაზე მოწვეული იყვნენ ამ დარგის ხელმძღვანელები აფხაზეთიდან, აჭარიდან, სამხრეთ ოსეთიდან, ქალაქების და რაიონების სამმართველოთა უფროსები, პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები, ბუღალტრები, სამშენებლო და სარემონტო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის მუშაკები.

კრებამ განხილა სამინისტროს სისტემაში საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის მდგომარეობისა და მისი საქმიანობის გაუმჯობესების საკითხი. მოხსენება გააკეთა მინისტრის მოადგილემ ი. იორდანიშვილმა, მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 15 კაცმა.

კრების მთელმა მსვლელობამ — მოხსენებამ, ორატორთა სიტყვებმა თვალნათლივ გვიჩვენა სამინისტროს აპარატის, მისი ხელმძღვანელობის, კოლეგიის მუშაობის სტილისა და მეთოდების მანკიერებანი, რომლებიც წლების მანძილზე იყო აქ დანერგილი. განსაკუთრებული სიმკაცრით იქნა მხილებული საკონტროლო-სარევიზიო მუშაობის ძალზე დაბალი დონე, მისი საქმიანობისა და როლის უგულებელყოფა, რასაც მინისტრი ფ. დუმბაძე და მისი ყოფილი მოადგილე ნ. ნოდია იჩენდნენ ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგისადმი. კრებაზე მრავალი აღმაშფოთებელი ფაქტი და მაგალითი იქნა მოყვანილი იმის საილუსტრაციოდ, რომ სამინისტროს ხელმძღვანელთა შეგნებული წაყრუებით და უფრო ხშირად ხელშეწყობით დანაშაულებრივად იჩქმალებოდა გაფლანგვის, დატაცების, გამოძალვის, მექრთამეობის, მომსახურების საქმეში არსებული ნაკლოვანებების სამარცხვინო ფაქტები.

იმის მაგივრად, რომ სისტემაში აღეკვეთათ ასეთი სიმახინჯენი, პირიქით — ხელს უწყობდნენ და მფარველობდნენ უპატიოსნო, ცუდი წარსულისა და შელახული სახელის მქონე ადამიანებს. ასე ხდებოდა, მაგალითად, საქავტოტექმომსახურების სამმართველოში მოკალათებულ დამნაშავეთა მიმართ, რომლებიც დიდი მატერიალური და მორალური ზიანი მიაყენეს სახელმწიფოსა და ხალხს.

საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის როლის ხელოვნურმა დაკნინებამ, მისი მნიშვნელობის უგულებელყოფამ გამოიწვია ის, რომ სამინისტროს სისტემაში სულ უფრო მატულობდა გაფლანგვები, დატაცებები, მიწერები, აკოწიწებდნენ ხალხის მომსახურების სიკეთის ყალბ მაჩვენებლებს. როგორც კრებაზე ითქვა, მარტო უკანასკნელ ხუთ წელიწადში 52 სარევიზიო აქტი არ იქნა განხილული და მათში გამოვლინებულ გაფლანგვებსა და დარღვევებზე არ მოხდა სათანადო რეაგირება და არ მიეცა მათ სწორი შეფასება. მაგალითად, 1970 წელს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარ სამმართველოში რევიზიის დროს ერთგან 81 ათასი, ხოლო მეორედან 11,5 ათასი მანეთი დანაკლისი აღმოჩნდა. მაგრამ რა მოხდა? ყველას გასაოცრად და გასაკვირველად ბუღალტერიამ ეს თანხა ხელოვნურად შექმნილი ზედმეტობით დაფარა. ერთი სიტყვით, დანაშაულის მიჩქმალვის გზას დაადგნენ.

აქ ყველაზე უფრო საკვირველი ის არის, რომ ამ რევიზიის შედეგებზე მინისტრის ბრძანებაში, რომელიც რატომღაც დიდი დაგვიანებით — 5 თვის შემდეგ გამოიცა, ისე იყო წარმოდგენილი მდგომარეობა, თითქოს დანაკლისი საერთოდ არ ყოფილიყოს. შემდეგ სამინისტროს ხელმძღვანელობამ ყველაფერი გაკეთა, რათა ამ სამმართველოში რევიზორები 4 წლის მანძილზე საერთოდ არ გამოჩენილიყვნენ. გაიარა რამდენიმე ხანმა, და ყველა დოკუმენტაცია მოსპეს, რითაც დანაშაულის კვალი წაშალეს.

კამათის დროს ზნირად იყო ლაპარაკი ეგრეთწოდებული პრივილეგირებული სამმართველოების მისამართით. ასეთად მოიხსენიე ბარდაბნის რაიონის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველო. აქ 1971 წელს მოეწყო რევიზია, შედგა აქტი, რომელშიც ნხილებულ იქნა დამახინჯებათა და დარღვევათა სერიოზული ფაქტები, მაგრამ მოხდა ის, რომ ამ რევიზიის შედეგები სამინისტროს რატომღაც არ განუხილავს, ხოლო 1973 წელს დაწყებული რევიზია ბოლომდე არ მიიყვანეს და შუა გზაზე შეწყვიტეს. ასე იყო თერჯოლის რაიონშიც, სადაც შემდგომში მიწერების აღმაშფოთებელი ფაქტები იქნა გამომჟღავნებული.

კრებაზე გამოსულები — თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს პარტორგანიზაციის მდივანი ა. ცირკიძე, ზუგდიდის ავტოტექმომსახურების სადგურის უფროსი შ. ქირია, სამინისტროს განყოფილების გამგე ი. ანდრიაძე და სხვები მთელი პასუხისმგებლობით აცხადებდნენ, რომ სამინისტროს ხელმძღვანელობა დამნაშავეებს შეგნებულად უწყობდა ხელს. სხვანაირად როგორ უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ სარევიზიო აქტები არ განხილულიყო მთელი პრინციპულობით, ხოლო ზოგჯერ სრულებითაც არ ამეღაგნებდნენ ასეთი აქტების არსებობას და მაუდქვეშ ამოდებულს ინახავდნენ მათ. ასე მოუვიდა, მაგალითად, ზუგდიდის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს ობიექტებში 1970 წელს შემოწმების შედეგად შედგენილ აქტს, რომელიც 1971 წელს სამინისტროს პროკურატურამ გადმოუგზავნა. მასში აღნიშნული იყო 11,8 ათასი მანეთის დანაკლისის ფაქტი. ეს დოკუმენტიც რეგისტრაციის გარეშე დატოვეს, ხოლო უფრო გვიან ამ სამმართველოში ჩატარებული რევიზიის შედეგების განხილვის დროს სამინისტროს ბრძანებაში არ იქნა აღნიშნული აქ არსებული დანაშაულობანი და 38,8 ათასი მანეთის უკანონოდ ჩამოწერის ფაქტები. მიჩქმალეს და რეაგირების გარეშე დატოვეს ბოლნისის სამმართველოში ჩატარებული რევიზიის შედეგები, სადაც 28,7 ათასი მანეთის გაფლანგვა იყო გამომჟღავნებული.

ერთი სიტყვით, სამინისტროს ხელმძღვანელთა მხრივ საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის უფულებელყოფით ხელოვნურად იჩქმალებოდა ნამდვილი მდგომარეობა, ფართო გასაქანი ეძლეოდა მიწერებსა და ყალბი კეთილდღეობის მაჩვენებლებს, რითაც სულ უფრო ფართოვდებოდა ბოროტებათა ხვრელები. სამინისტროში შექმნილ ასეთ ვითარებას ბოროტად იყენებდნენ რევიზორებიც, რომლებიც ზურეულად, დანაშაულებრივად უდგებოდნენ მოვალეობის მსრულებას, ეწწეოდნენ გამოძალვას, მექრთამეობას. ასეთი ვითარება კი ხელსაყრელ ნიადაგს უქმნიდა გამჟღანგვებელს, ყალბისმქმნელებს. საგულისხმოა ის, რომ სისტემაში მომხდარ დანაშაულობებს ძირითადად ავლენდა არა სამინისტრო და მისი სარევიზიო-საკონტროლო აპარატი, არამედ სხვა ორგანოები,

ეს და სხვა დანაშაულობანი, უსეშობა, თანამდებობის პირებისათვის შეუფერებელი მოქმედება, ძმაბიჯობა, კადრების არასწორი შერჩევა, როგორც მოკამათეებმა აღნიშნეს, გამოწვეული იყო სახელმწიფოებრივი საქმისადმი არაკომუნისტური მიდგომით, ნამდვილად დათვური სამსახურით, რასაც სამინისტროს ხელმძღვანელთა მიმართ მაღალი თანამდებობის ზოგიერთი პირი იჩენდა.

მოკამათეთა საქმიან სჯა-ბაასს რომ ვუსმენდით და კრების მთელ მსვლელობას ანალიზს რომ ვუკეთებთ, უნებლიეთ იბადება კანონიერი კითხვა: როცა ამ სახელმწიფო დაწესებულების აპარატში ასეთი დარღვევები ხდებოდა, სად იყვნენ იმ დროს ეს ადამიანები, ასლა ასე ცხარედ, გულიანად, გულახდილად და გაბედულად რომ ამხელენ ნაკლოვანებებს და მთელი ძალნებარებით გამოსტაკვენ თავიანთ აღშფოთებას? რას უყურებდნენ, რას აკეთებდნენ კომუნისტები, პარტიული ორგანიზაცია, კოლეგია?

ნამდვილად რომ მათაც მიუძღვით ბრალი, მათაც ეკისრებათ მორალური პასუხისმგებლობა იმ ნაკლოვანებებისათვის, დარღვევებისათვის, რაც ყველას თვალწინ ხდებოდა. დასიმართლე უნდა ითქვას ეს განწყობილება წითელ ზოლად გასდევდა კრებაზე გამომსვლელთა სიტყვებს.

სამინისტროს აპარატის მუშაობისა და ცხოვრების ამ და სხვა მრავალ სადღეისო, აქტუალურ საკითხებზე გააცხადვილეს ყურადღება როგორც მომსხენებელმა — ი. იორდანიშვილმა, ისე მოკამათეებმა — მინისტრის მოადგილემ ა. ჭაბუკიანმა, განყოფილების გაგგე — ვ. დეკანიანმა, აფხაზეთის, აჭარის ასსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრებმა — ვ. კვარჩელიამ, გ. გოგიტიძემ, სამხრეთ ოსეთის საოლქო სამმართველოს უფროსმა ბ. ცხოვრებოვმა, თბილისის ტანსაცმლის ინდკერვის № 1 ფაბრიკის დირექტორმა თ. სხვიტარიძემ, სამტრედიის, გურჯაანის სამმართველოთა უფროსებმა ვ. ლოლაძემ, გ. აღნიშვილმა და სხვ.

როგორც კრებაზე აღინიშნა, სამინისტროს კოლეგიის სხდომები ზოგჯერ უსისტემოდ, მოუმზადებლად იმართებოდა, საკითხების განხილვისას მიმდინარეობდა უმიზნო კამათი, დაუსაბუთებელი მსჯელობა, რომელიც ხშირ შემთხვევაში კინკლაობაში გადადიოდა. მინისტრი ფ. დუმბაძე საკითხების გადაწყვეტისას იჩენდა თვითნებობას, უცოდინრობას, ყურს არ უგდებდა სხვათა აზრს, ხოლო მისი მოადგილეები, კოლეგიის წევრები, ვერ იდგნენ მოწოდების სიმაღლეზე, დროულად ვერ უღებდნენ ალღოს და ვერ ერკვეოდნენ მძიმე ვითარებაში, რომელიც ამ დაწესებულებაში იყო შექმნილი.

რამდენიმე ხნის წინათ კოლეგიის ერთ-ერთ სხდომაზე მის წევრებს, კომუნისტებს, როგორც იქნა ეყოთ გამბედაობა რეალურად შეეფასებინათ მდგომარეობა, მკაცრად ემჯიღლათ და ზემდგომი ორგანოსათვის მიემართათ მინისტრის პოსტიდან ფ. დუმბაძის გადაყენების თაობაზე.

ცხადია, ასეთ ვითარებაში, როცა ნამდვილი, შემოქმედებითი მუშაობის მაგივრად კინკლაობაში იყვნენ გართულნი სამინისტროს ხელმძღვანელები, შეუძლებელი იყო სასელმწიფოებრივი და სახალხო მნიშვნელობის საკითხების ობიექტურად გადაწყვეტა, იმ ამოცანების გადაჭრისათვის მოღვაწეობა, რომლებიც სახალხო მეურნეობის ამ მნიშვნელოვანი დარგის წინაშე დგას.

კრებაზე საქართველოს სსრ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრის მოვალეობის შემრულებელმა ვ. სობოლევმა ყურადღება გაამახვილა იმ ღონისძიებებზე, ამოცანებზე, რომლებიც ახლა ხორციელდება დანაშაულობათა და დარღვევათა აღმოფხვრისათვის, სამინისტროს მუშაობაში არსებული ნეგატიური მოვლენების დაძლევისათვის, საკონტროლო-სარევიზიო სამსახურის გარდაქმნის, გაძლიერების და მთელი მისი საქმიანობის მკვეთრი გაუმჯობესებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მომსახურების სფეროს ამ მნიშვნელოვანი დარგის მუშაკთა კრების მუშაობამ, აქტივობამ, ერთსულოვნებამ, გულწრფელმა და გულახდილმა საუბარმა ცხადყო სისტემის მთელი კოლექტივის მზადყოფნა ამისათვის, რომ ენერგიული, შემართებული შრომით, ხალხის კეთილდღეობისათვის ზრუნვით, ნაკლოვანებებისა და დამახინჯებების წინააღმდეგ ბრძოლით ყველაფერი გააკეთონ მშრომელი ადამიანის ნდობის, პატივისცემის მოსაპოვებლად.

გ. ჩიქვინიძე.

მიფრინავს „სოიუზ-14"

შეპირაპირება ორბიტაზე

როცა „სოიუზ-14" კოსმოსური ხომალდი ძატარებელი რაკეტის უკანასკნელ საფეხურს გამოეყო და თავისი პირველი ბრუნვა დაიწყო დედამიწის გარშემო, ორბიტული სადგური „სალუტ-3" იმყოფებოდა, როგორც ეს წინასწარ იყო გათვალისწინებული კოსმოსური ნავიგატორების მიერ, ხომალდის წინ დაახლოებით 3,5 ათას კილომეტრზე. ეგი დაფრინავდა უფრო მაღალ, წრიულ ორბიტაზე.

„სოიუზ-14" კი დაფრიხავდა ელიფსურ ორბიტაზე. მას დიდი სიჩქარე აქვს, და ნელ-ნელა, მაგრამ გასუხრელად, ყოველ საათში ეწევიდა ჯერ ერთ კიდევ გაუსაცხოვრისებელ კოსმოსურ „თახმეძაბულს". მაგრამ დაახლოებით ასეთი მეთოდი, რომელსაც პასიური ეწოდება, შეიძლება ძალიან დიდხანს გაგრძელდეს.

ხომალდის მესამე, მეოთხე შემობრუნება დედამიწის გარშემო. პავლე პოპოვიჩი და იური არტიუხინი ემზადებიან ორბიტაზე პირველი დაგეგმილი მანევრებისათვის.

ასეთი მანევრების მიზანია, ორბიტის დასახულ წერტილში და დასახულ დროში ერთმანეთს დაუახლოოს მინიმალურ მანძილზე ორი კოსმოსური აპარატი, რომლებიც სხვადასხვა ორბიტებზე მოძრაობენ. ეს არის დაახლოების ოპტიმალური მეთოდი, რომელიც მინიმალურ ენერგეტიკულ დანახარჯებს მოითხოვს. ამოცანა მარტო ის კი არ არის, რომ შეიცავალოს ხომალდის პერიგეისა და აპოგეის სიმაღლეები, არამედ მოხდეს მისი სიბრტყეების კორექტირება, რათა იგი ზუსტად დაეძთხვეს „სალუტისას" ეს მოთხოვნა აუცილებელი და საჭიროა შეპირაპირებისათვის.

მცირე კუთხური სიჩქარით „სოიუზ-14" შემობრუნდა ჯერ ტანგაჟთთ, შემდეგ კი კურსით. იური არტიუხინის მახვილმა თვალმა ილუმინატორში დაინახა ოდნავ შესამჩნევი პატარა მოციმციმე სინათლის წერტილი, რომელიც აუჩქარებლად მიცურავდა ჰორიზონტის ბინდ-ბუნდში. და მაშინვე გავიგონეთ აღტაცებული წამოძახილი:

— ვხედავ „სალუტს"!

ხომალდის რადიოლოკაციური აპარატურა განუწყვეტლივ ზომავს ურთიერთმანძილისა და მიახლოების სიჩქარეს. საანგარიშო-ამოსახსნელი მოწყობილობა ახორციელებს მიახლოების ავტომატური სისტემის მთელი მოქმედების კოორდინაციას. მანძილებზე, რომლებიც კილომეტრებით იზომება, მიახლოების მანევრები სრულდება ეხერგეტიულად, ხომალდი სწრაფად ბრუნდები, რათა გამოსცეს გვერდითი სიჩქარის გამლის, დაძუხრუჭებისა და ჩაქრობის იმპულსები. მიახლოების ამ ეტაპზე მუშაობს ხომალდის საბორტო სამარშო ძრავი.

მანძილი „სალუტამდე" სწრაფად მცირდება. მუშაობას იწყებენ მცირე წევის ძრავები. მიმდინარეობს მეორე ეტაპი—მიდგომა. ახლა „სოიუზ-14" კი არ ბრუნდება, არამედ ნელ-ნელა უახლოვდება „სალუტს". სიშორის კამერის ისარი 100 მეტრ ციფრს რომ მიუახლოვდა, ვამოირთო ავტომატიკა და ხომალდის მართვა იკისრეს კოსმონავტებმა. ზუსტად მოქმედებს ეკიპაჟის მეთაური. სულ უფრო უახლოვდებიან ერთმანეთს კოსმოსური აპარატები. საამბენელ მოწყობილობაში მკვეთრად, რეალიფურად მოჩანს სადგურის მოხაზულობა. მის ბორტზე ადვილი გასარჩევია ასოები „სსრკ". კიდევ რამდენიმე წუთი, და „სოიუზ-14" ხომალდის შესაპირაპირებელი მექანიზმის შტანგის თავი შევიდა „სალუტის" სადგურის მიმღებ კონუსში. კოსმონავტის პულტზე აკიაფდა ცისფერი ტრანსპარანტი „მექანიკური პირმოდება".

ჩაირთო ელექტროძრავის ამძრავი, შტანგამ დაიწყო შეზიდვა. აი ერთმანეთს შეზვდნენ აპარატების ტორსული ზედაპირები. როცა პირაპირი დაიხურა, მექანიკურმა შეერთება-მოდებამ ძლიერად მოუჭირა რეზინის შუა სადებრგოლებს, ამით აღწევენ შეპირაპირებული ზედაპირების სრულ ჰერმეტულობას.

გადასასვლელი ნაკვეთურის ჰერმეტულობის შემოწმების შემდეგ კოსმონავტებმა გაათანაბრეს წნეხი ხომალდისა და სადგურის ორბიტულ ნაკვეთურში და დედამიწიდან მიიღეს ნებართვა გაეხსნათ გადასასვლელი სძრომის სახურავები. ჩართულმა ელექტროამძრავებმა ეს სწრაფად გააკეთეს, და წარმოშობილ ლეთონის „გვირაბში" პირველი შევიდა ბორტინჟინერი იური არტიუხინი. შემდეგ სადგურში „შეცურდა" პავლე პოპოვიჩი. კოსმონავტებმა დაიწყეს ცხოვრება თავიანთ ახალ „კოსმოსურ სახლში".

ინჟინერი
პ. პოგადაევი.
საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი.

ახალი ნაგიჯი კოსმოსის ათვისებაში

ახალ საბჭოთა ექსპერიმენტს კოსმოსში — „სოიუზ-14" საბჭოთა კოსმოსური ხომალდის გაფრენას და მის წარმატებით შეპირაპირებას „სალუტ-3" ორბიტულ სამეცნიერო სადგურთან, რომლის დროს ხომალდის ეკიპაჟი გადავიდა სამეცნიერო სადგურში, — დიდი ყურადღებით ეკიდება მსოფლიო საზოგადოებრიობა და პრესა.

საინფორმაციო სააგენტოებმა, გაზეთებმა, რადიომ, ტელევიზიამ ცნობა შეპირაპირების შესახებ გადასცეს როგორც დღის უმნიშვნელოვანესი ინფორმაცია. **იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტო,** კერძოდ, ხაზგასმით აღნიშნავს, რომ „სალუტ-3" ორბიტული სადგურის ეკიპაჟი თავს კარგად გრძნობს და წარმატებით ასრულებს დასახულ პროგრამას.

ახალი კოსმოსური ექსპერიმენტი, რომელიც მიმდინარეობს იმ დროს, როცა საბჭოთა და ამერიკელი კოსმონავტები ემზადებიან განახორციელონ ერთობლივი ფრენა „სოიუზ-აპოლონის" პროგრამით, უთუოდ დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია ამ ფრენის მომზადების გზაზე, განაცხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კვლევითი საბჭოს თავმჯდომარემ მაქს შტეენბეკმა.

იაპონიისა და შვეიცარიის გაზეთები ავრეთვე წერენ, რომ „სოიუზ-14" ხომალდის ეკიპაჟის მუშაობა კოსმოსში საბჭოთა კავშირ-ამერიკის ერთობლივი ფრენისათვის მზადების ნაწილია.

ნაბიჯი ნაბიჯ ინ ინ ინ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲠᲝᲜᲘᲡᲯᲮᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲚᲐᲣᲠᲔᲐᲢᲔᲑᲘ

ᲙᲘᲨᲘᲜᲝᲕᲘ, 5 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ. (ᲡᲐᲥᲠᲘᲜᲤᲝ). შეჯამდა თვითმოქმედი ხალხური ცეკვის ანსამბლების მესამე სრულიად საკავშირო ფესტივალის „ხალხთა მეგობრობის“ მოლდავეთში მიმდინარე შემოქმედებითი კონკურსის შედეგები. ფესტივალის ლაურეატი გახდა ჩვიდმეტი კოლექტივი.

ფესტივალის პირველი ხარისხის დიპლომები და დიდი პრიზი მიენიჭათ საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ქერჩინსკის სახელობის კულტურის სახლისა და ორიოლის ოქტომბრის 50 წლისთავის სახელობის ფოლადსადგამნავი ჭარხლის ანსამბლებს, მოლდავეთის ბენდერის აბრეშუმის კომბინატის ანსამბლს „პრიეტენიას“, ლოძის ბამბეულის საწარმოს ანსამბლს „ჰარნამს“.

უკრაინის ივანო-ფრანკოვსკის ოლქის „ვესიოლკას“, ბელორუსიის ბრესტის ანსამბლს „რადოსტს“, ბულგარეთის ქალაქ რუსეს სტუდენტთა თვითმოქმედ კოლექტივსა და კიშინოვის ანსამბლს „მიორიცას“ მიენიჭათ ფესტივალის მეორე ხარისხის დიპლომები და პრიზები.

— ამ შემოქმედებითმა შეჯიბრებამ, რომელშიც მონაწილეობდა სსრ კავშირის ყველა მოკავშირე რესპუბლიკისა და შვიდი სოციალისტური ქვეყნის 31 კოლექტივი, გვიჩვენა ხალხური ქორეოგრაფიის განვითარებაში მოპოვებული მნიშვნელოვანი მიღწევები, — უთხრა საკდისის კორესპონდენტს ჟიურის თავმჯდომარე, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ტ. ა. უსტინოვამ, — შეჯიბრების მონაწილეებმა ცსდაყვეს საშემსრულებლო ოსტატობის მაღალი მხატვრული დონე. მათი მკაფიო, თავისთავადი პროგრამები მოწმობენ თვითმოქმედი კოლექტივების ფართო შემოქმედებითს შესაძლებლობებს, კულტურის ნამდვილ აყვავებას სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებში.

„ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲜᲙᲐᲣᲠᲡᲖᲔ

Ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘ — „ᲐᲠᲓᲐᲓᲔᲒᲔᲑᲘ“

(წითელწყაროს საშუალო სკოლის VIII-კლასელი ზურაბ პოპიაშვილი (მარცხნივ) და VII-კლასელი დავით გონაშვილი წითელწყაროს რაიონის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მინდორში თავის შეგროვებაზე).

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 74

ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐᲜ

ᲛᲬᲔᲠᲚᲔᲑᲘ — ᲫᲘᲜᲕᲐᲚᲔᲡᲔᲚᲔᲑᲗᲐᲜ

ᲓᲣᲨᲔᲗᲘ. (საკ. კორ.). დავდგებით იქ, გიშრომებთ იქ, სადაც ახლა ყველაზე მეტად ვჭირდებით ჩვენს ხალხს, ჩვენს მშობლიურ პარტიას! — ასე ამბობენ ქართველი მწერლები, რომელთა წარმომადგენლები ამ დღეებში ესტუმრნენ ქინვალის პედროკომპლექსის მშენებლებს.

ქართველმა მწერლებმა, რომლებსაც გულთბილად შეხვდნენ, დაათვალიერეს მშენებლობის ცალკეული უბნები, იყვნენ მომავალი კამსალია ადგილას, ვერარაბეში, მუშათა ახალ ლაბაში, შემდეგ ადგილობრივ კლუბში გაიმართა შეხვედრა.

შეხვედრა გახსნა კომკავშირის დუშეთის რაიკომის პირველმა მდივანმა ფ. ფრიდონაშვილმა. სიტყვით გამოვიდა მშენებლობის სამმართველოს უფროსი გ. ქყონია, რომელმაც სტუმრებს პირობა მისცა, რომ ქინვალპესელები ყველაფერს გააკეთებენ, რათა წარმატებით შეასრულონ. მათ წინაშე დასახული ამოცანები.

სიტყვები წარმოთქვეს მწერლებმა და პოეტებმა ნოდარ დუმბაძემ, კარლო კალაძემ, იოსებ ნონეშვილმა, მორის ფოცხიშვილმა და ზაიკითხეს საუთარი ლექსები. თავისებურ პოეტურ პაექრობაში მონაწილეობა მიიღეს ფშაველმა პედაგოგებმა ი. ქართველიშვილმა და მ. ნაყეურმა.

ᲙᲝᲛᲞᲝᲖᲘᲢᲝᲠᲘ Მ. ᲤᲐᲠᲪᲮᲚᲐᲫᲔ ᲣᲧᲒᲐᲜᲨᲘ

ᲐᲛᲐᲡ წინათ ყუბანში გაიმართა საავტორო შეხვედრები საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეებთან, კომპოზიტორ მერაბ ფარცხალაძესთან. მისი საავტორო კონცერტები შედგა ქალაქ კრასნოდარში, ნ. ა. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზში ტანანცა სვეერსკაიაში, გმირ ქალაქ ნოვოროსიისკში, სამხარეო ტელევიზიით. თავის შემოქმედებაში მ. ფარცხალაძე დიდ ადგილს უთმობს საგუნდო მუსიკას და კერძოდ მუსიკას ბავშვებისა და მოზარდებისათვის. ამიტომ მის კონცერტებში მონაწილეობა მიიღეს ქალაქის მრავალრიცხოვანმა საბავშვო საგუნდო კოლექტივებმა. კონცერტებმა საზოგადოებრიობის დიდი ინტერესი გამოიწვია.

Თ. ᲞᲝᲜᲝᲛᲐᲠᲘᲝᲕᲘ,

რსფსრ კომპოზიტორთა კავშირის კრასნოდარის ორგანიზაციის პასუხისმგებელი მდივანი.

ᲤᲔᲚᲔᲢᲝᲜᲘ

ᲐᲕᲐᲓ ᲕᲐᲠ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲕᲐᲠ...

ᲚᲝᲛᲘᲠᲗᲛᲐ შეარცხვინოს ჩვენი ტრესტის ბოძაიაგების გაყოფილების უფროსი ლოთი გეოოტა ოვედობაძე. ახალი წლის ღამეა ჩვეულ თაობაძროსელებთან ᲒᲐᲒᲠᲘᲚᲐᲫᲔ არ ნიმცა სამეელი. მაინც რა უნდოდა ის ღიოოუცელს, ხომ ᲒᲔᲣᲑᲘᲒᲝᲓᲘ, არ შეეძლია, იატონო, არა ვაკაა, დვინო ადგილად მეოოვა-ᲫᲔᲗᲘ, ოატომ არ დაიᲫᲘᲠᲜᲐ? ოატომ რადგა ᲠᲘᲫᲔ ოᲯახის ცოდვამი? ᲝᲡᲝᲚᲝ ᲠᲚᲝᲢᲘᲠᲘᲐᲜᲘ ᲧᲐᲜᲐᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲔᲓᲔ ᲐᲠ ᲫᲘᲠᲘᲪᲔᲚᲘᲧᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝ, ᲕᲘᲓᲠᲔᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲐᲒᲔᲚᲘᲧᲝᲜᲘᲡ. ᲗᲘᲗᲘᲡ ᲛᲐᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲒᲔᲚᲘᲐᲜᲘ ᲬᲐᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲣᲬᲔᲚᲘᲐ ᲞᲘᲠᲝᲜᲘ, ᲕᲘᲓᲠᲔᲓ ᲐᲠ ᲓᲐᲓᲐᲒᲔᲚᲘᲧᲝᲜᲘᲡ.

— ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲢᲐᲑᲘᲔᲑᲘ ᲣᲧᲠᲐᲕᲔᲡᲐᲓ ᲘᲧᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲢᲝᲛᲐᲢᲣᲠᲐᲓ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲜᲐᲬᲐᲠᲛᲝᲔᲑᲗᲐᲜ ᲗᲐᲜᲐᲛᲔᲓᲠᲝᲕᲔ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘ, ᲠᲝᲛᲚᲘᲡᲐᲪ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲐ 1973 ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲥᲕᲔᲧᲜᲓᲐ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲨᲘ.

ᲡᲮᲕᲐ ᲐᲕᲢᲝᲠᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲞᲠᲔᲛᲘᲐ ᲛᲘᲔᲜᲘᲭᲐ ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲒᲣᲠᲐᲛ ᲐᲡᲐᲗᲘᲐᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲨᲔ ᲬᲐᲠᲛᲝᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘᲐ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘᲡ ᲐᲛᲡᲐᲮᲕᲔᲚ ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲠᲘᲢᲘᲙᲣᲚᲘ ᲜᲐᲛᲣᲨᲔᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ.

ᲛᲔᲠᲘ ᲚᲝᲠᲗᲛᲐᲫᲔ ᲨᲔᲐᲠᲪᲮᲕᲘᲜᲝᲡ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲡ ᲡᲒᲐᲛ? — თქვა ჩემმა დამღუპველმა გერონტი მშვიდობაძემ და ცარიელი კასრივით არაწრახდა.

— მობრძანდით, ბატონო, ახალი წელი დგებილოცეთ! — შეიპატიჟა ჩემთა მეუღლეკ და იმ უსინდისო გერონტისაც, ოომლის გულისთვისაც ᲩᲔᲑᲘᲗ თაბაშირის ᲛᲣᲗᲘᲡᲙᲚᲝᲜᲘᲐᲜᲘ ბორკილი მᲩᲘᲜᲔᲗ შეᲫᲝᲛᲘᲗᲔᲡᲐᲜᲘ, უარი არა თქვა. ᲓᲕᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲗᲘᲡᲐᲕᲘᲗᲘᲗ ᲑᲐᲒᲠᲘᲓᲐᲗ ᲛᲘᲣᲯᲐᲒᲔᲑᲘᲗ, ᲣᲐᲠᲘ არა თქვა. ᲓᲕᲘᲜᲔᲡ ᲗᲐᲜᲗᲘᲡᲐᲕᲘᲗᲘᲗ ᲑᲐᲒᲠᲘᲓᲐᲗ ᲛᲘᲣᲯᲐᲒᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲓᲐᲜᲐᲛᲓᲔᲓ ᲐᲠ ᲫᲘᲠᲘᲪᲔᲚᲘᲧᲝᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲜᲘ ᲧᲐᲜᲐᲘᲐᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲐᲚᲐᲛᲔᲓᲔ